ხაშურის მოამბე

№9 (190) 4 მარტი, ორშაბათი, 2019 წელი



საზეიმო მიღება უკრაინის საელჩოში

26 თებერვალს,უკრაინის საელჩოში,უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას დაბადების 148 წლისთავთან დაკავშირებით, გაიმართა საზეიმო მიღება, რომელსაც ესწრებოდნენ: უკრაინის ელჩი საქართველოში იგორ დოლგოვი, უკრაინის კულტურის მინისტრის მოადგილე იური რიბაჩუკი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ გიორგაძე და სხვა საპატიო სტუმრები.

საზეიმო მიღებაზე მიწვეულნი უყვნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, საკრებულოს თავჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წარმომადგენლები.

ღონისძიების ოფიციალურ ნაწილში, სტუმრებს მისალოცი სიტყვით მიმართა საქართველოში ლესია უკრაინკას საზოგადოების თავმჯდომარემ ტარიელ გოგოლაძემ.

საზეიმო ნაწილის ბოლოს, სტუმრებმა ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის მეგობრობის ნიშნად, უკრაინის საელჩოს ტერიტორიაზე ნაძვის ხეები დარგეს.

ფოტო ალბომიდან

უკანასკნელ წლებში, ჩვენს ქვეყანაში, დიდი ყურადღება ექცევა ტურიზმის განვითარებას. ხელისუფლება ბევრს აკეთებს, რომ ტურისტული პოტენციალი საქართველოს თითოეულ რეგიონში გაიზარდოს, რაც ეკონომიკის აღმავლობას და დასაქმებულთა გაზრდას შეუწყობს ხელს. გამონაკლისი,ბუნებრივია,არც შიდა ქართლია,სადაც უამრავი ობიექტია,რომლებიც ტურისტებისთვის მიმზიდველი სანახავია. ტურიზმის სააგენტო ამზადებს ალბომს,სადაც ცალკე,დიდი მონაკვეთი შიდა ქართლს დაეთმობა. რა თქმა უნდა,ალბომში ხაშური და ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიული ძეგლებიც მოხვდნენ. ალბომი მშვენიერი საჩუქარი და გზამკვლევი იქნება როგორც უცხოელი ვიზიტორების, ასევე ჩვენი თანამოქალაქეებისთვის.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ორგანიზებით, შიდა ქართლში, ადგილობრივ ფერმერებთან შეხვედრა გაიმართა

შეხვედრაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, გიორგი ხანიშვილმა და შიდა ქართლის რწმუნებულმა გიორგი ხოჯევანიშვილმა, ადგილობრივ ფერმერებთან ერთად, პროექტის „დანერგე მომავალი“ მიმდინარე ეტაპი შეაჯამეს და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს.

ყურადღება გამახვილდა ქვეყანაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიან გამოყენებაზე. აღინიშნა, რომ, მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, ეტაპობრივად იზრდება პროდუქციის ექსპორტი.

აღნიშნულ შეხვედრაზე ის მექანიზმები განიხილეს, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, რომ ნიშური ბაზრები დაიკავოს. შეხვედრა, რომელსაც ფერმერებთან ერთად სასო-

ფლო-სამეურნეო ასოციაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, დისკუსიის ფორმატში გაიმართა.

პროექტი „დანერგე მომავალი“ „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში ხორციელდება. თანადაფინანსება ხორციელდება ორი - მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსებისა და სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში. დღემდე, შიდა ქართლის მასშტაბით 1690 ჰა ხეხილის ბაღია გაშენებული.

შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტები და ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედი ფერმერები.

შეხვედრა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალბატონებთან

27 თებერვალს, ხაშურის მუნიციპალიტეტის წაღვლის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი ე.წ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების - წაღვლსა და ჩორჩანაში მცხოვრებ ქალებს არასამთვრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენლები შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძე, მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე, მერიის სხვა წარმომადგენლები.

შეხვედრის მიზანი იყო ადგილობრივი ქალების საჭიროებათა შესწავლა მათზე შემდგომი რეაგირების მიზნით გაეროს „რეზოლუცია 1№325 - ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ შესაბამისად.

შეხვედრაზე ადგილობრივებმა პირველ პრიორიტეტად გზის მოწესრიგების საკითხი დააყენეს. ზურაბ ჩხიტუნიძის განცხადებით, სოფელ წაღვლამდე დაგეგმილია ბეტონის გზის დაგების ორწლიანი პროექტის განხორციელება, რომელიც მიმდინარე წელს დაიწყება.

დღის ბოლოს მოსახლეობასთან შეხვედრისას წამოჭრილ პრობლემებზე მსჯელობა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან და გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად გაგრძელდა. დაისახა პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული გზები.

გამოითქვა იმედი, რომ მსგავსი შეხვედრები რეგულარულ ხასიათს შეიძენს, რაც სასარგებლო იქნება ორივე მხარისთვის და აღნიშნული სოფლების აღორძინებას შეუწყობს ხელს.

- სოფლის მეურნეობა -

ფერმერი, რომელიც მომავალს იმედით უყურებს

ზვიად ნოზაძე იმ ფერმერთა რიცხვს შეუერთდა, რომელიც სირთულეებს და გამოწვევებს არ უშინდება. საბანკო ვალდებულებებს შეეჭიდა და ახალი ბიზნესი წამოიწყო, ჰოლშტეინის მაღალპროდუქტიული სარძეო ჯიშის რქოსანი პირუტყვის ფერმა გააკეთა. ამ საქმესთან გამოცდილებაც და დიდი სიყვარულიც აკავშირებს. ჯერ დალაგების, დაწყობის ეტაპზეა. აწესრიგებს ინფრასტრუქტურას, სწავლობს ახალ ჯიშთან ურთიერთობას. რედაქციაც შრომაში გართულს ესტუმრა.

- ბატონო ზვიად, დასაწყისზე გვესაუბრეთ...

–ეს საქმე ჩემთვის ახალი არაა, წლებია ხორცის გაყიდვის მცირე ბიზნესი მაქვს. ნელ-ნელა სახორცე,მსხვილფეხა პირუტყვის შეძენაც დავიწყე და ბაგურ კვებაზე გადავიყვანე. სხვადასხვა დაბალპროცენტიანი სესხების, პროექტების არსებობა გახდა იმის საწინდარი,რომ ამ საქმის გაფართოებაზე და მრავაპროფილურობაზე მეფიქრა. სანამ საბანკო ვალდებულებებს ავიღებდი,მანამდე,გამოცდილებისთვის,

შევიძინე ხუთი მეწველი ძროხა. ჰოლშტეინის ჯიშის შემოვიყვანე, აქვე ნაყიდი, შეგუებული გარემოს და კლიმატს. ივნისის ბოლო იყო,როცა დავიწყე. კრედიტი მანამდე მქონდა აღებული, სანამ საქონელს შემოვიყვანდი, იქამდე ვაწყობდი ინფრასტრუქტურას, ვლაგდებოდი. თავიდან ნამდვილად არ იყო ადვილი, როცა ახალი გამოცდილებით იწყებ საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეს კარგად ვიცნობდი, ამ ჯიშთან მანამდე არ მქონია შეხება და დღემდე ვსწავლობ, როგორ მოვუარო და როგორი პირობები შევუქმნა, რომ ის მაქსიმალური სარგებელი მივიღო, რისი მოცემაც მათ შეუძლიათ.

- როგორც ჩანს, თავიდანვე გაამართლა, რადგან დამატებით კიდევ შეიძინეთ...

–ამის შემდეგ, 20 სული შემოვიყვანე მარტვილიდან. შეგუებულები იყვნენ გარემოსთან, რაც სხვადასხვა თანმდევ რისკებს ამცირებდა. უკვე შემოსავალიც ვნახე და ვიცი, როგორ გავანაწილო და განვსაზღვრო ყველაფერი. ამ ეტაპზე, უკვე 35 ძორხა მყავს, ზოგი მეწველია, ზოგი - ახლა ელოდება ნამატს.

- ჩვენი ტარდიციული ჯიშებისგან განსხვავებით, კვებაც და მოვლაც განსაკუთრებული ჭირდებათ, რაც დამატებით ხარჯებს მოითხოვს. თქვენ შემთხვევაში, გაქვთ საკვების რესურსი თუ ყიდულობთ?

–ეს ნამდვილად პრობლემას მიქმნის ამ ეტაპზე, რადგან, როგორც აღნიშნეთ, მათი მოვლა-შენახვა საკმაოდ დიდ ხარჯებს მოითხოვს. ნელ-ნელა ვცდილობ, ეს საკითხიც დავარეგულირო. ამისთვის, ალში და ქარელში 10-10 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთი ვიყიდე სიმინდის დასათესად, თუმცა ეს არაა საკმარისი.

- რამდენ ლიტრ რძეს იღებთ ყოველდღიურად და როგორ ახდენთ რეალიზებას?

–ამ ეტაპზე 400-450 ლიტრ რძეს ვიღებთ, თუმცა, გაზაფხულზე 1 ტონამდე ველოდებით წველადობის გაზრდას. „ეკო-ფუდთან“ მაქვს ხელშეკრულება დადებული და ვაწვდით რძეს. აგარაში არის მაცივარი 2 ტონა ტევადობის, იქ ვაწვდი ყოველ მეორე დღეს და იქიდან ხდება უკვე ტრანსპორტირება.

- რა თქმა უნდა, შესაბამისი აპარატებიც გექნებათ, რაც მუშაობას გიადვილებთ...

–საწველი აპარატი გვაქვს სამი ცალი. ძალიან მინდა თორმეტსულიანი საწველი დარბაზი გავაკეთო, რადგან სტანდარტების შესაბამისად ვიმუშაო. გვაქვს საკვების ამრევი, რომლისგანაც კომბინირებული საკვები მიიღება. დანარჩენს, განვითარების შესაბამისად შევიძენთ. მინდა ვთქვა, რომ ეს საქმე მიყვარს, ეს დიდ სტიმულს მაძლევს იმისთვის, რომ განვვითარდე. გამოწვევები არსებობს, მთავარია, მონდომებას არ ვაკლებ. ნამატს არ ვყიდი, რძის წარმოების პარალელურად, სახორცე ჯიშებსაც ვზრდით, რომ დავაბალანსოთ შემოსავალ-გასავალი.

- რამდენი ადამიანი გყავთ დასაქმებული?

–ამ ეტაპზე, 4 ადამიანი მყავს დასაქმებული, გარდა ამისა, ოჯახური საქმეა და ყველა ვართ ჩართულები. დიდი გეგმები მაქვს, ყოველმხრივ გაფართოებას ვფიქრობ, არ გამოვრიცხავ, რომ გადამამუშავებელი მრეწველობითაც დავკავდე. არ დავმალავ, რომ ამ ეტაპზე, გასავალი აღემატება შემოსავალს, რისი დაბალანსებაც და შეცვლაც ჩემი სამომავლო პერსპექტივაა.

თამარ ჯავახიშვილი



№5 საბავშვო ბაღში ბავშვებს იდეალური გარემო ხვდებათ

„ხაშურის მოამბის“ ყოველკვირეული რუბრიკა „ერთი დღე საბავშვო ბაღებში” ხაშურის №5 საბვაშვო ბაღში სტუმრობით გაგრძელდა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ ბაღებში, სადაც უკვე ვიმყოფებოდით, იდეალური გარემოა ბავშვების სრულფასოვანი აღზრდისთვის. თანამედროვე სტანდარტები ყველგან დაცულია, მოწესრიგებულია სველი წერტილები, სამზარეულო, საძინებელი და ძირითადი ოთახები. ბაღებს ემსახურებიან კვალიფიციური და გამოცდილი პედაგოგები და აღმზრდელები. ყველა მენეჯერი ერთხმად აღიარებს, რომ ბაღების გაერთიანების შექმნის შემდეგ, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, თუ ადრეულ წლებში ბაღებში არასახარბიელო მდგომარება იყო თითქმის ყველა კომპონენტში, დღეს, ყველაფერი უკეთესობისკენაა შეცვლილი. რედაქცია №5 საბავშვო ბაღის ღვაწლმოსილ და გამოცდილ მენეჯერს მაია ფერაძეს ესაუბრა.

- რომელი წლიდან ფუნქციონირებს #5 საბავშვო ბაღი და თქვენ რამდენი ხანია ამ ბაღის მენეჯერი ბრძანდებით?

– 2004 წლიდან გახლავართ ამ ბაღის მენეჯერი. 1984 წელს აშენდა ეს ორსართულიანი კორპუსი, სადაც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით და დერეფნით დაუკავშირდა ერთსართულიან შენობას, რომელიც გაცილებით დიდი ხნის წინ აშენდა და სადაც ადრეულ წლებში მხოლოდ ბაგა იყო.

- საკმაოდ დიდი ბაღია, რამდენი აღსაზრდელია ამჟამად ბაღში?

– ჩვენს ბაღში მომართვიანობა საკმაოდ მაღალია და გამონაკლისი არც წლევანდელი წელია. ამჟამად გყავს 225 ბავშვი, რომლებიც 6 ჯგუფში არიან განაწილებულები.

- როგორც ვხედავთ, ბაღი რეაბილიტირებულია, როდის ჩატარდა სარემონტო სამუშაოები?

– სარემონტო სამუშაოები ბაღს, დაახლოებით ორი წლის წინ ჩაუტარდა. კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ერთსართულიან კორპუსს. გამოეცვალა სახურავი, გამაგრდა საძირკველი, თანამედროვე სტანდარტებით გაკეთდა გათბობის და წყალმომარაგების სისტემები და, რა თქმა უნდა, კოსმეტიკური რემონტი, აგრეთვე, სრულყოფილად აღდგა სანიტარული ნორმები, რომლებიც ადრე სრულიად დარღვეული იყო. აღნიშნული სამუშაოები ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სახსრებით გაკეთდა. წარმოუდგენლად დიდი სამუშაოები იქნა ჩატარებული, შეიძლება ითქვას, რომ ბაღი ხელახლა დაიბადა. საფრთხეც იყო იმის, რომ მთლიანად ჩამონგრეულიყო, თუმცა დღეს დაცულ და უსაფრთხო გარემოში განვაგრძობთ სამუშაო პროცესს.

- რამდენი თანამშრომელი ემსახურება საბავშო ბაღს?

– ამჟამად 25 კვალიფიციური თანამშრომელი გყავს. პედაგოგები უკვე ორჯერ გადამზადდნენ, მათ შორის, ჩვენც, მენეჯერებსაც და აღმზრდელებსაც. საკმაოდ მაღალკვალიფიციური და სასარგებლო ტრენინგები ჩაუტარდათ.

წარმატებებს ვუსურვებთ №5 საბავშო ბაღის ხელმძღვანელობას იმ მნიშვნელოვან საქმეში, რასაც ბავშვების აღზრდა-განვითარება ჰქვია.

თინა ახალკაცი

ზოგიერთი რამ საქართველოს მევენახეობის ისტორიიდან

მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის უძველესი და მთავარი დარგია. უძველესი დროიდან ქართველები ცნობილნი იყვნენ, როგორც დახელოვნებული მიწათმოქმედები, მევენახეები და მეტალურგები, რასაც საქართველოში დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ქართველი კაცი და ვაზი ისტორიის არსებობის მანძილზე ერთად მოდიოდა, იზრდებოდა და ვითარდებოდა, ამან შექმნა ქართველი კაცის უსაღვრო სიყვარული ვაზისადმი. ალბათ, ამ უსაზღვრო სიყვარულმა შექმნა ჩვენს პატარა მიწაზე ამ დალოცვილი კულტურის ხუთასზე მეტი ჯიშის ვაზი.

საქართველოში მევენახეობა და მეღვინეობა უძველესი დროიდან – ნეოლითი პერიოდიდან არის ცნობილი, საიდანაც შემდეგ სხვა ქვეყნებშიც გავრცელებულა. გასულ წელს, საქართველოში გამოვიდა ფრანგული გამოცემის ქართულად თარგმნილი წიგნი „ღვინის დიდი ენციკლოპედია“, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველო ვაზის უძ-

ველესი კერაა მსოფლიოში, ღვინო პირველად მხოლოდ საქართველოში დააყენეს. საქართველო ვაზისა და ღვინის აკვანია, საქართველოში მეღვინეობას 7000 წლის ისტორია აქვს. ამას მოწმობს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები და ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება“.

საუკუნეების მანძილზე ვერაფერმა გაჰყარა ერთმანეთისგან ვაზი და ქართველი კაცი, ეს კი ჩვენს ტრაგიკულ ისტორიაში ყველა მტერს უცდია. ჩვენს მიწაზე შემოსული ყველა მტერი ცდილობდა ვაზის მოსპობას, რაც ჩვენი ხალხისა და მისი რწმენის მოსპობას ნიშნავდა.

ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, ასურებმა საქართველოში ლაშქრობისას კოლხეთსა და იბერიაში ვაზი ერთიანად გაანადგურეს, გვამცნობს ისტორიული წყარო.

ვაზს თავისი მრისხანე ხელი არ დააკლო, მეთოთხმეტე საუკუნეში, თემურ-ლენგმა. მისი თარეშის შემდეგ, საქართველოში საუკუნე დასჭირდა ვაზისა და საერთოდ, მეურნეობის აღდგენას. ასევე, ცეცხლითა და მახვილით მოსპო ვაზი კახეთში ირანის მძვინვარე მბრძანებელმა შაჰ-აბასმა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მევენახეობას დიდი ზიანი მიაყენა ჯერ ევროპაში, ხოლო შემდგომ საქართველოში ამერიკის კონტინენტიდან შემოტანილმა დაავადებებმა, ჯერ ნაცარმა, შემდეგ ჭრაქმა. მავნებელმა ფილოქსერამ კი თითქმის განაგურებამდე მიიყვანა ევროპაში და ასევე საქართველოშიც.

ევროპაში ფილოქსერა პირველად შემჩნეული იქნა 1863 წელს ლონდონის ახლოს სთბურებში. 1869 წელს აღმოჩენილი იქნა საფრანგეთში, ხოლო მოკლე ხანში 1863-1888 წლებში ფილოქსერა გავრცელდა მსოფლიოს მევენახეობის უმრავლეს რაიონებში.

საქართველოში ფილოქსერა პირველად აღმოიჩენილი იქნა 1861 წელს სოხუმის ახლოს ვინმე ვედენსკის მამულში. პირველ ხანებში, იგი გავრცელდა დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონებში, შემდეგ ქართლში, ხოლო 1910-1913 წლებში უკვე კახეთის ვენახებში იყო აღმოჩენილი, ამავე პერიოდში ფილოქსერა აღმოჩენილი იყო საქართველოს მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში.

ევროპაში, და კერძოდ, საფრანგეთში დაიწყო ფილოქსერას საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება. პირველად გამოცდილი იქნა ნიადაგში შხამების შეტანა, რითაც ისპობოდა მავნებელი, ნიადაგის შხამებით დაბინძურების (თითქმის ყოველწლიურად საჭიროებდა შხამებით ნიადაგის დამუშავება) და მისი შესრულების სირთულის გამო ამ მეთოდმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

ამის შემდეგ, ევროპელმა და ფრანგრმა მევენახეებმა მოახდინეს ამერიკული ვაზის შეჯვარება ევროპულთან (რადგან ამერიკული ვაზის ჯიშები ფილოქსერას მიმართ პრაქტიკულად გამძლენი არიან) და მიიღეს ამერიკულ-ევროპული ვაზის ჰიბრიდები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მიღებული ჰიბრიდები, მართალია არ ზიანდებოდნენ ნაცრითა და ჭრაქით, უძლებდნენ ფილოქსერას, მაგრამ მიღებული ნედლეული მდარე ხარისხის და ზოგჯერ ტოქსიკური ნივთიერებებით გაჯერებულ პროდუქციას იძლეოდა.

რადგან ამერიკული ვაზი ფილოქსერას მიმართ პრაქტიკულ გამძლეობას იჩენდა, ფრანგმა მევენახე მეცნიერმა პლანშონმა ადგილობრივი ფრანგული ვაზის ჯიშები დაამყნო ამერიკულ ვაზზე, რითაც გადარჩა, არა მარტო საფრანგეთის ვენახები, არამედ მთელი მსოფლიოს მევენახეობა. ამისათვის მადლიერმა ფრანგმა ხალხმა პლანშონს ძეგლი დაუდგეს წარწერით:

„მევენახეები პლანშონს!
ამერიკულმა ვაზმა გააცოცხლა ფრანგული ვაზი და დაამარცხა ფილოქსერა“.

რაც შეეხება საქართველოს, მეცხრამეტე საუკუნემდე საქართველოში მევენახეობა ძირითადად დამოკიდებული იყო პრაქტიკოს მევენახეთა ცოდნასა და გამოცდილებაზე, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და მათივე პრაქტიკული დაკვირვების შედეგად უმჯობესდებოდა. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი მოღვაწეობის შედეგია საქართველოში ვაზის ჯიშთა სიმრავლე, ვაზის სხვლის ტექნოლოგიის დამუშავება რეგიონების მიხედვით; ვაზის დარგვის, გამრავლება და ფორმირების პრაქტიკული დამუშავება.

მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის კოლონია გახდა, მეფის რუსეთის იმპერიულმა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობა და კერძოდ, მევენახეობა, გარკვეული ყურადღების ქვეშ მოაქცია.

მეფის რუსეთს ევროპიდან შემოჰქონდა ძვირადღირებული ევროპული ღვინოები. ამიტომ, მისი ინტერესის საგანს წარმოადგენდა კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში, მევენახეობის შესწავლა და განვითარება. ამის გამო დაიწყო საქართველოს ცალკეული კუთხეების მევენახეობის (ვაზის ჯიშობრივი აღწერა და მისი არსებული მდგომარეობა) შესწავლა. გამოვიდა ე.ა. დანდუროვის „რაჭის მევენახეობა 1896 წელს“ ა. ა. იაკოვლევის „ლეჩხუმის მევენახეობა 1896 წელს“; ერმ. ნაკაშიძის „იმერეთის მევენახეობა 1896 წელს“; პ. ყანდურალოვის „ქართლის მევენახეობა“; ლ. ჯორჯაძის „მევენახეობა“, სადაც აღწერილია კახეთის ვაზის ჯიშები და ვაზის მოვლის წესები კახეთში; გ. ჯანაშვილის „საინგილოს მევენახეობა“, ს. ტიმოფეევის „აჭარა-შავშეთ-კლარჯეთის ვაზის ჯიშები 1895 წ.“ და სხვა ნაშრომები.

ამ პერიოდში, საქართველოში, საფრანგეთიდან შემოიტანეს მაღალპროდუქტიული ვაზის ჯიშები, რასაც, სამწუხაროდ, შემოჰყვა ნაცრისა და ჭრაქის დაავადებები. ამის შემდეგ, შემოტანილ იქნა საფრანგეთსა და ევროპაში გამოყვანილი ამერიკულ-ევროპული ვაზის ჰიბრიდები, ე.წ. პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები, რომელთაც საქართველოში ჰპოვეს გავრცელება „დირბულას“, „ქიწნურას“, „ფრანგულას“, „ალიკარტის“, „ბოდბურას“, „ვაქირულას“ და სხვათა სახელებით, რომლებიც მართალია არ ზიანდებიან ჭრაქითა და ნაცრით და უძლებენ ფილოქსერას, მაგრამ იძლევიან მდარე პროდუქციას. სამწუხაროდ, აღნიშნული პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდებს ქართლის ზოგიერთ რაიონში და კახეთის ვენახებში დღესაც ვხვდებით.

1889 წლიდან საქართველოში დაიწყო ფილოქსერაგამძლე საძირეების შემოტანა ევროპიდან. პირველ ხანებში შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის თესლები, რომელიც ითესებოდა და აქედან აღმოცენებული ნერგები ირგვებოდა მუდმივ ადგილზე დასამყნობად. ამ წესით ვე-

ნახების აღდგენა მეტად ძნელი და შეუძლებელიც კი იყო. 1891 წელს, ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარაში, დაარსდა ამერიკული ვაზის სანერგე, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ვ. ი. სტაროსელსკი. 1893 წლიდან დაიწყო ფილოქსერაგამძლე ვაზების ლერწის შემოტანა, რომელიც ძირითადად ირგვებოდა საქარის სანერგეში, აქვე ხდებოდა ნამყენების წარმოება და მისი გავრცელება სხვადასხვა ადგილებში.

პირველი მსოფლიო ომის დროს, საქართველოში, მევენახეობა გაპარტახების გზას დაადგა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაბრუნების დროისთვის გადარჩენილი იყო მხოლოდ 14 ჰა ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედე და 13500 ჰა ნამყენი ვენახი. 1948 წლისათვის ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედეების საერთო რაოდენობამ საქართველოში შეადგინა 732,96 ჰა. 1970-იანი წლებიდან საქართველოში შეიქმნა მძლავრი მაღალი წარმადობის სანერგე მეურნეობები დასავლეთ საქართველოში საქარის სანერგე, ქართლში მცხეთის რაიონის ქანდას სანერგე, კახეთში თელავის რაიონის რუისპირის სანერგე, ქვემო ქართლში, მარნეულის რაიონის თამარისის სანერგე მეურნეობები, რომლებიც აწარმოებდნენ მილიონობით ვაზის ნამყენ ნერგს.

ალექსანდრე დვალაშვილი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5,6,7)

თუ ჩავთვლით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი დასახლებული პუნქტის სახელწოდება სპარსული წარმომავლობისაა (ასპინძა – სასტუმრო, ხანდაკი – ორმო, აღაიანი – ბატონები), შესაძლოა, ალიც ტერმინ **ალაყაფესთან** იყოს დაკავშირებული (ასევე კასპის რაიონის სოფლებიც: ყარაღაჯი. ყარაფილა და სხვ.),“ - დაასკვნის ჯ. ქიტიაშვილი.

ალი ქართულ წარმართულ პანთეონში ნადირთა, ტყისა და წყლის პატრონია. ხალხის წარმოდგენით, ალი თმაგაშლილი ლამაზი, მაცდური ქალი იყო. წყალშიც ცხოვრობდა და ტყეშიც („წყლის ალი”, „ტყის ალი”). ალი მავნე სულად იყო მიჩნეული და მის განსარიდებლად მრავალი საგანგებო შელოცვა არსებობდა. ალი ქართული ფოლკლორის ცნობილი პერსონაჟია.

ქართული წარმართული პანთეონის ალს საერთო არ უნდა ჰქონდეს ალის სახელწოდებასთან.

იოანე ბაგრატიონი „ქართულ ლექსიკონში“ იძლევა სიტყვა ალის მნიშვნელობის განმარტების რამდენიმე ვარიანტს. ამავე დროს მიუთითებს, რომ ალი სოფლის სახელწოდებაც არის.

იოანე ბაგრატიონი წერს: ალი - იტყვიან სულსა რასამე მაცთურსა,სახედ ადამიანისა, რომელ მშობიერესა დია უფრთხილდებიან: „ ალი არ დაეცესო“; აგრეთვე ცხენს რომ ფაფარი შეეგრიხება ერთმანეთში იტყვიან: „ალს დაუგრეხიაო“ და სხვანი ესევითარნი.

ალი - არს მოტყინარეობა დანთებულისა ცეცხლისა, ზე აღმავალი და მსუბუქი, ნათლის სახე, ვითაცა სამთელისა. ხოლო სხვებ განუმარტებით ცეცხლის ანადენად (ესეაია, 5, 28).

ალი - მიეწერება ანგელოსთაცა, ვითარცა ჰსწერს წინასწარმეტყველი: „რომელმან შექმენ ანგელოსნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა“ (ესეიგი მოტყინარედ).

ალი მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. აქ არის ალის ციხე (XI-XII საუკუნე), დედაღვთისას, ღვთისმშობლის, უსანეთის, ჯანიაურების (ყველა გვიანფეოდალური ხანა), კვირაცხოველის (1810 წ) ეკლესიები.

ანაგარა — ნასოფლარი თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ე. წ. ღორინამკლის ძირში, მდებარეობს ცხრამუხის საკრებულოს ტერიტორიაზე.

მას არ იცნობენ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები, არც საისტორიო წყაროებსა და დოკუმენტებში გვხვდება.

როგორც ჩანს, აქ სოფელი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მოიშალა. მოსახლეობის ნაწილი ჩამოვიდა სოფელ დამჩხეულაში, რომლის ერთ-ერთ უბანს, სადაც კურტანიძეები სახლობენ, ანაგარას უწოდებენ. თვით ეს სოფელი – დამჩხეულა, ნასოფლარ ანაგარასაგან დაშორებულია 5 კილომეტრით.

ნასოფლარზე შემორჩენილია წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები (გვიანფეოდალური ხანა).

აძვისი - სოფელი, ზემო და ქვემო აძვისის ძველი სახელწოდება, მდებარეობს მდინარე ჭერათხეულას მარჯვენა სანაპიროზე. ზემო აძვისი ალის, ხოლო ქვემო აძვისი გომის სასოფლო საკრებულოებში შედიან. მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულია 19 კილომეტრით, ზ. დ. 760 მ.

ქართული საისტორიო მწერლობისათვის აძვისი ცნობილია. ვახუშტი ბატონიშვილს დატანილი აქვს რუკაზე აძვისი, „აღწერაში“ კი მის შესახებ არაფერს ამბობს. იოანე ბატონიშვილი, ალის წყლის ხეობის აღწერის დროს, აფიქსირებს აძვისს, თუმცა მის დროს აქ მოსახლეობა არ ჩანს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ისტორიულ დოკუმენტში აძვისი გვხვდება „ძვისი“-ს ფორმით (ქუცნა ამირეჯიბის სიგელი, რუისის სამწყსოს დავთარი და სხვა).

აძვისი ამირეჯიბების მამულია. 1403 წელს იგი, ალის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად, თემურ-ლენგმა ააოხრა. მას ქუცნა ამირეჯიბი სწირავს ახლადაღდგენილ ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესიას.

ალექსანდრე დიდის (1412-1442) სიგელის მიხედვით, ულუმბის მონასტრის სასარგებლოდ „აძვს რაც გუთანი გამოვა შეუვალად ხატს უნდა უმუშაონ. საბატონო არა არის-რა და ღალაც ხატის არის. და გარდა მისს შვიდს კომლს, ორს ათ-ათი კოკა ღვინო და ხუთს კომლს რვა-რვა კოკა ღვინო და ორი ზურგიელი”.

რუისის სამწყსოს აღწერის 1715 წლის დავთარში აძვისიდან 10 კომლია შეტანილი (ციმანკურიძე, მჭედელი, ღვინიაშვილი (4), ხიკრაძე, ძაღლიბანაშვილი, გუნაშვილი, ლაზარეშვილი).

1865 წლის აღწერით, აძვისში 24 კომლი მოსახლეა (2 სახელმწიფო, 14 საეკლესიო და 8 დროებითვალდებული გლეხი).

1886 წლის აღწერით, აძვისში 19 კომლი მოსახლეა (46 კაცი და 22 ქალი, სულ 68 კაცი). ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მოსახლეობა მთლიანად ქართულია.

აქ სახლობენ გვარები: არჩვაძე, გაჩეჩილაძე, გეგელაშვილი, შველიძე, ჯავახიშვილი, ხაჩიძე...

აძვისი იმ ტიპის სადაურობის (გეოგრაფიული) სახელია, რომელიც -ის სუფიქსით იწარმოება, (მაგალითად: ნიჩბისი, ნუნისი, თბილისი, ქუთაისი და ა.შ.).

გორის რაიონში არის სოფელი აძვი, ხოლო ცხინვალის რაიონში – აძვისთავი.

აძვისში მდებარეობს ღვთისმშობლისა და წმინდა სამების ეკლესიები, რომლებიც გვიანფეოდალური ხანით თარიღდებიან.

ახალი ფლევი - იხ. ფლევი

ახალსოფელი - სოფელი, მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. სურამულას მარჯვენა ნაპირას. შედის ოსიაურის სასოფლო საკრებულოში, ხაშურის ცენტრიდან დაშორებულია 6,5 კმ-ით, ზ. დ. 680 მ.

ცნობილია პატარა ახალსოფლის სახელწოდებითაც.

ახალსოფლის დაფუძნება XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე უნდა მომხდარიყო. თუმცა, აქ ადამიანის ცხოვრების კვალი უფრო დიდი ხნით ადრე ჩანს. სოფლის სამხრეთით, სასაფლაოსთან ახლოს, ე.წ. გორაკზე, 1947 წელს, მიწის სამუშაოების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა გვიან-ბრინჯაოს ხანის სამაროვანი. სოფლის აღმოსავლეთით და სამხრეთით არის ძველი ნამოსახლარები, რომლებიც გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

ახალსოფლის დაფუძნება ვახტანგ VI-ის სახელთან არის დაკავშირებული. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ვახტანგ VI-მ სურამის ჭალა გაკაფა და „ჰქმნა დაბნები“. ერთ-ერთი ასეთი „დაბა“ უნდა იყოს ახალსოფელიც.

XVIII საუკუნის 10-იან წლებში ვახტანგ VI ახალსოფელს ქაიხოსრო წერეთელს აძლევს. „...სურამის ჭალაში, ოსიეურისაკენ ოცდაათი საკვამლო მიწა და იმ ნაპირს კაცები რომე დასახლებულა, შიგ მსახლობელის კაცით ქაიხოსრო წერეთლისათვის გვიბოძებია“

1722 წლის 23 აგვისტოს, ქაიხოსრო წერეთელს ბაქარი კვლავ აძლევს ახალსოფელს: „მოგვადეგით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და სურამის ჭალის ბოლოს ახალსოფლის წყალობას დაგვეაჯენით. ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ სურამის ჭალის ბოლოს ახალსოფელი.”

ვახტანგ VI სპეციალური ბრძანებით აფრთხილებს მოხელეებს, რომ ქაიხოსრო წერეთლისათვის სურამის ჭალაში ნაბოძებ სოფელში მცხოვრებ გლეხებთან ხელი არავის აქვს. აგრეთვე, თუ ქაიხოსრო წერეთელმა “... ვინც სხვა ქვეყნიდამ კიდევ გლეხი მოიყვანოს და იქ დაასახლოს, ნურცავის იმასთან აქვს ხელი და ნურცავინ აუყრის... ვინც თავისი ნაყმევი კაცი მოუვიდეს, ნურცავის იმასთან აქვს ხელი“.

1723 წლის 7 ივლისს, ვახტანგ VI იმერეთის ზემო მხარის სარდალს, პაპუნა წერეთელს აძლევს ახალსოფელს: „...გიბოძეთ სურამის ახალ-სოფელი თავის შიგ მსახლობლის კაცითა“.

ვახტანგ VI-ის ბრძანებაში ნათქვამია: „მერმე, სურამის ახალ-სოფელში შიგ მსახლობელის კაცით, მათი მიწა-წყლის საყმოდ წერეთლის პაპუნასთვის გვიბოძებია. იასაულო, ხელი აუმართე და მიაბარე.”

1715 წლის რუისის სამწყსოს დავთრის მიხედვით, ახალსოფელში 12 კომლი სახლობს (ჩიტაშვილი, ელიკაშვილი, სხალაძე, მამასახლისი, ყვიჟინაძე, ქალიაშვილი, ირემაძე (2), ალავიძე, ტოტაძე...)

აქ, 1728 წელს, თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, ცხოვრობს 18 კომლი. აქაც იგივე საოსმალო გადასახადებია შეწერილი მოსახლეობაზე, რაც სხვაგან და შეადგენს 10510 ახჩას.

ვახუშტი ბატონიშვილი იცნობს ახალსოფელს. ასევე, იცნობს იოანე ბატონიშვილიც, მაგრამ მის დროს აქ მოსახლეობა არ ჩანს.

მთელი XVIII საუკუნის მანძილზე, ისევე, როგორც რაიონის სხვა სოფლებმა, ახალსოფელმაც განიცადა ლეკთა თავდასხმები. სეხნია ჩხეიძის ცნობით, 1731 წლის 24 სექტემბერს ლეკებმა სასტიკად ააოხრეს ახალსოფელი.

1801 წელს, დავით ბატონიშვილი გიორგი ვეზირიშვილსა და მის შვილებს აძლევს ახალსოფელს: „ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს და წესისამებრ თავდადებით ნამსახურს თავადს ვეზირიშვილს, ნასაღჩიბაშის ნაიბს გიორგის, შვილსა შენსა სოლომონს, გიორგის, დავითს, იოანეს და იოსებს და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე რომელ კურთხეულის მისის სიმაღლის პაპის ჩუენის მეფის ირაკლისაგან ოქმით ბოძებული გქონდათ ოსიაურს ქვეით ახალსოფელი და... კურთხეულის მის სიმაღლეს ბატონს მამა-ჩვენს ებოძებინა და აწ ჩვენც თქვენის ნამსახურობის სამუაფქვოთ წყალობა გიყავით და გიბოძეთ ოსიაურს ქვეით ახალსოფელი“.

როგორც ჩანს, სანამ დავით ბატონიშვილი ხელმეორედ უბოძებდა ახალსოფელს ვეზირიშვილებს, მანამდე ჯერ კიდევ ერეკლე II-ეს და გიორგი XII-ეს ჰქონიათ მიცემული იგი ვეზირიშვილებისათვის. ეს უნდა მომხდარიყო XVIII საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ, რადგან აქ (ოსიაური გვაქვს მხედველობაში), ვეზირიშვილები 1772 წლიდან არიან.

1865 წლის აღწერით, ახალსოფელში I კომლი დროებით ვალდებული გლეხი სახლობს.

1886 წლის აღწერით, კი აქ 10 კომლი სახლობს (39 კაცი და 27 ქალი, სულ 66 კაცი). ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართველები არიან. 1930 წელს აქ 28 კომლი მოსახლეა, სულ 132 კაცი.

ახალსოფელში სახლობენ გვარები: ბითაძე, გელაშვილი, გრიგალაშვილი, მალხაზიშვილი, მჭედლიშვილი, ნოზაძე, ხარშილაძე...

ახალსოფელი სიტყვათშეერთებით არის მიღებული. აქ მსაზღვრელი –ახალი ზედსართავი სახელია, ხოლო საზღვრული – სოფელი – არსებითი სახელი.

საქართველოში მრავალი ახალსოფელი გვხვდება (ამბროლაურის, გარდაბნის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, თიანეთის, სოხუმის, ქარელის, ყვარელის, სენაკის, ხობის, კასპის, ოზურგეთის, ახალგორის, ხელვაჩაურის, სამტრედიის, ყორნისის, მცხეთის, ტყიბულის, ლანჩხუთის და ხარაგაულის რაიონებში).

ახალსოფელში მდებარეობს წმინდა მარინეს ეკლესია, რომელიც გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

ახალუბანი - სოფელი, მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ჭერათხევის მარცხენა მხარეს, შედის ალის სასოფლო საკრებულოში. ხაშურიდან დაშორებულია (გომზე გავლით) 27 კილომეტრით, ხოლო კლდისწყაროზე გავლით – 12 კილომეტრით. ზ. დ. 800 მ.

ქართული საისტორიო მწერლობა არ იცნობს.

1865 წლის მდგომარეობით აქ 10 კომლი მოსახლეა, ათივე კომლი სახელმწიფო გლეხია.

1886 წლის აღწერით, აქ ცხოვრობს 13 კომლი (48 კაცი და 43 ქალი, სულ 91 კაცი). მოსახლეობა ეროვნული შემადგენლობის მიხედვით მთლიანად ქართულია.

აქ სახლობენ გვარები: ბაკურაძე, ბოჭორიშვილი, გელაშვილი, დევდარიანი, თევზაძე, ლოლაძე, მიქელაძე, ნოზაძე, ტყემალაძე, ყანჩაველი, შველიძე, ჩიკვაიძე, ხარაზიშვილი...

სახელწოდება ახალუბანი მიღებულია სიტყვათა შეერთებით, რომელშიც პირველ კომპონენტს – მსაზღვრელს წარმოადგენს ახალი (ზედსართავი სახელი), ხოლო საზღვრულია – უბანი (არსებითი სახელი). ახალი სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „აწ ქმნილს ‘’ ნიშნავს, უბანი კი მისივე განმარტებით არის „ერდო, გინა ქალაქთ ერთი კერძო ‘’.

ახალუბანი გვხვდება გორის, თერჯოლის, მცხეთის, ხულოს რაიონებში.

ახალშენი - სოფელი, მდებარეობს მდინარე მტკვრის შუა ხეობის ვაკეზე, მის მარჯვენა სანაპიროზე, შედის წრომის სასოფლო საკრებულოში. ხაშურიდან დაშორებულია 16 კილომეტრით, ზ. დ. 680 მ.

ქართული საისტორიო მწერლობა არ იცნობს.

ცნობილია დოფიძეების უბნის სახელწოდებით.

1865 წლის აღწერით, ახალშენში 4 დროებით ვალდებული გლეხი ცხოვრობს, 1886 წლის აღწერით კი, აქ 9 კომლი სახლობს (45 კაცი და 32 ქალი, სულ 77 კაცი). მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართულია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

ახალშენში სახლობენ გვარები: გრიგალაშილი, დოფიძე, ეკალაძე, ზაკუტაშვილი, ზუბაშვილი, კურტანიძე, ხარატიშვილი, ხარებაშვილი, ხაჩიძე.

სულახან-საბა ორბელიანის მიხედვით, ახალშენი „აწ ქმნილ აშენებულს" ნიშნავს. იგივე განმარტება ეძლევა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ახალშენი ახლადგაშენებულ, ახლადდასახლებულს ნიშნავს.

ეს ტოპონიმიც სიტყვათშეერთებით არის მიღებული. მსაზღვრელი – ახალი – ზედსართავი სახელია, ხოლო საზღვრული – შენი – არსებითი სახელია.

სახელწოდება – ახალშენი საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში. გვხვდება სოხუმის, ხელვაჩაურის, ახმეტის, გორის, ყორნისის, გარდაბნის, ხონის, კასპის, ლენტეხის, ჩოხატაურის, ხულოს რაიონებში.

ბაიანთხევი - ნასოფლარი, სურამის ერთ-ერთი უბანი, მდებარეობს მის დასავლეთით, მდინარე ბაიანთხეულას აყოლებაზე. საარქივო დოკუმენტებში დასტურდება ზემო ბაიანთხევიც.

სახელწოდება მომდინარეობს ბაიაშვილის გვარიდან.

რუისის სამწყსოს დავთარის მიხედვით სურამში დასტურდება გვარსახელი ბაიაშვილი. შემდგომი პერიოდის რამდენიმე დოკუმნტშიც მოიხსენიება ეს გვარი. 1752 წლის 20 სექტემბერს, გიორგი ხიდირბეგიშვილის მიერ დიმიტრი ციციშვილისათვის მიცემული ჭარტლიულის ზვარი გრძელდება „ბაიაშვილის მიწის მიდგამდი". XVIII საუკუნით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს მამულების სიას, ნათქვამია, რომ „ბაიაშვილის გვერდზე ნავენახარი მიწა ბლიაძეს უჭირავს".

გვარიდან დასახლებული პუნქტის სახელწოდების მიღება ქართული სინამდვილისათვის უცხო არ არის. ამგვარი ტოპონიმის დასახელება მრავლად შეგვიძლია. ხაშურის რაიონში, გარდა ბაიანთხევისა, არის კიდევ სხვა ტოპონიმებიც, რომლებიც გვარიდან არის მიღებული (კაკალათხევი, ჩუმათელეთი, სარმანიშვილისკარი, სავანისუბანი, რუსაანთ- უბანი, გუდეთი, ყიფიანთუბანი და სხვ.).

ბაიანთხევი სიტყვათშეერთებით არის მიღებული. მასში მსაზღვრელიც (ბაიანთი), რომელიც მრავლობით რიცხვშია და საზღვრულიც (ხევი) არსებითი სახელია.

სხვათა შორის, ბაია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, დანაკვთულ-ფოთლებიანი და ყვითელ-პრიალა ყვავილებიანი ბალახია, რომელიც მეტწილად ტენიან ადგილებში იზრდება. სხვა განმარტებით, ბაია, პალმის ფრთისებრი გვიმრის ფოთოლია.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელწოდება ბაიანთხევი ანთროპონიმული წარმოშობისაა.

სოფელი ბაიანთხევი დასტურდება არაგვისპირზეც.

ბეკამი - სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, შედის სურამის სადაბო საკრებულოში, ხაშურიდან დაშორებულია 6 კილომეტრით, ზ.დ. 800 მ. დიდი და პატარა ბეკამის ძველი სახელწოდებაა.

ქართული საისტორიო მწერლობა იცნობს ბეკამს. ისტორიული და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებშიც ხშირად მოიხსენიება. ვახუშტი ბატონიშვილი მისი მდებარეობის შესახებ წერს: „სურამის ბეკმიდამ ასტყდების მაღალი გორა, მდებარებს დასავლით წიფამდე და ლიხამდე. ამ მთის სამხრით არს ბეკამი..."

იოანე ბატონიშვილი სურამის წყლის ხეობის აღწერისას აფიქსირებს ბეკამს, როგორც მოსახლე სოფელს.

ბეკამში მამულები ეკუთვნოდათ აბაშიძეებს, ჩხეიძეებს...

რუისის სამწყსოს 1715 წლის აღწერის დავთარის მიხედვით, ბეკამში დაფიქსირებულია 45 კომლი (არახჩიაშვილი, ბადრიაშვილი, ბიძინაშვილი, კანჭაშვილი, მათიაშვილი (6), გრიგალაშვილი, ვარდიაშვილი, ლალუაშვილი (3), ხუნიაშვილი, კაკიაშვილი, ივანაშვილი, ადუაშვილი, ბარბახაშვილი, გულიაშვილი (2), გიორგაშვილი, შოშიაშვილი (3), ძელიაშვილი, ტუკაძე (3), კურტანიძე, მამასახლისი, ტაბატაძე, ბარბაქაძე, ბლიაძე (2), ნოზაძე (3), გუდაძე (2)...

ბეკამში 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დავთრის მიხედვით, 47 კომლი ცხოვრობს. სხვა მონაცმები დავთარში არ მოიპოვება.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან, ისე როგორც სხვა დასახლებულმა პუნქტებმა, ბეკამმაც განიცადა ლეკთა თავდასხმები. 1732 წელს ლეკები შეესივნენ ბეკამს და ააოხრეს. 1754 წლის 10 აგვისტოს ლეკები ისევ დაესხნენ ბეკამს და 20 ტყვე წაიყვანეს.

1865 წლის აღწერით, ბეკამში 48 კომლი გლეხი ცხოვრობს (13 სახელმწიფო და 35 დროებით ვალდებული).

1886 წლის აღწერით კი აქ 96 კომლი მოსახლეა (246 კაცი და 226 ქალი) სულ 472 კაცი), რომლებიც ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართულია.

აქ სახლობენ გვარები: ამბოკაძე, ბაქრაძე, გოგოლაძე, დოგაძე, დულარიძე, ელბაქიძე, ზუმბაძე, თოფურიანი, კაპანაძე, კიკნაძე, მაჩხაშვილი, ნოზაძე, ტაბატაძე, ქურდაძე, ღამბაშიძე, გულიაშვილი, წეველიძე, ხინჩაკაძე (დიდი ბეკამი), აბრამიშვილი, ბარბაქაძე, გელაშვილი, გველესიანი, გოგიჩაიშვილი, გონგლაძე, გრიგალაშვილი, თომაძე, კიკნაძე, კიპაროიძე, ლალუაშვილი, ლომსაძე, მათიაშვილი, მარნაძე, რთველაძე, ტალახაძე, ღვინიაშვილი, ჭელიძე, ხვედელიძე (დიდი ბეკამი).

ბეკამი – ამ სუფიქსით ნაწარმოები სახელია. მასში ძირია „ბეკ",–ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია.

სახელწოდება ბეკიდან უნდა მომდინარეობდეს,რაც შემაღლებულ ადგილს ნიშნავს. მოსაზრებას ამყარებს ვ. ბატონიშვილის სიტყვები: „სურამის ბეკმიდამ ასტყდების მაღალი გორა", ე.ი. სურამის ბეკიდან (შემაღლებული ადგილიდან – თ.ლ.) იწყება „მაღალი გორა",რომელიც ლიხამდე და წიფამდე გრძელდება.

პროფესორი გ. ყორანაშვილი ბეკამს ზანური ენის მიხედვით ხსნის, რაც ნიშნავს ბექიანი // ბექობიანი, მცირე გორაკიანი. აქვე მიუთითებს, რომ „ამი" სუფიქსი ეთანადება ქართულ „იანს".

ბეკამში მდებარეობს სავანეთის წმინდა გიორგის ეკლესია, თარიღდება გვიანფეოდალური ხანით.

ბეღლეთი – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის სამხრეთ ნაწილის აღმოსავლეთ კალთაზე, შედის ქვიშხეთის სასოფლო საკრებულოში, ხაშურიდან დაშორებულია 20 კილომეტრით,ლიხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) - 2 კილომეტრით. ზ.დ. 800 მ.

შედიოდა ქართლის სააბაშიოში.

ქართული საისტორიო მწერლობა იცნობს. ვახუშტი ბატონიშვილს დატანილი აქვს რუკაზე. იოანე ბატონიშვილი მოიხსენიებს სააბაშიოს აღწერისას, მაგრამ ამ დროს (XVIII ს. 90-იანი წლები) აქ მოსახლეობა არ ჩანს.

რუისის სამწყსოს აღწერის დავთარში (1715 წ) ბეღლეთიდან 26 კომლი მოსახლეა დაფიქსირებულია (ლალაშვილი, ქალიაშვილი (3), ონიაშვილი (2), ქიტიაშვილი, ილარიონიშვილი, აყდიაშვილი (3), ფაფელაშვილი, მამუკაშვილი, ჩიტიაშვილი (3), ჩქოლაძე (4), გომარელი, ვეფხვაძე (3), ბუზალაძე, თეგაძე).

1865 წლის აღწერით, აქ 7 კომლი მოსახლეა – I სახელმწიფო და 6 დროებით ვალდებული.

1886 წლის აღწერით, ბეღლეთში 14 კომლია (53 კაცი და 48 ქალი, სულ 101 კაცი), რომლებიც მთლიანად ქართველები არიან. მოსახლეობის ერთი ნაწილი (7 კომლი) გადმოსულია დასავლეთ საქართველოდან – იმერეთიდან.

ბეღლეთში სახლობენ გვარები: გელაშვილი, გუგბერიძე, ლომიძე, ქალიაშვილი...

სახელწოდება ბეღლეთი ნაწარმოები უნდა იყოს ბეღელ სიტყვისაგან. საბას მიხედვით,ბეღელი ფქვილისა და ხორბლის „დასამარხავია", „ფქვილთა და მარცვალთ საცავია." სახელწოდებაში ძირია „ბეღლ", -ეთ სუფიქსია, რომელიც ძალზე გავრცელებულია გეოგრაფიულ სახელებში. ი - სახელობითი ბრუნვის ნიშანია. „ბეღელ" ფუძე გეოგრაფიული სახელის წარმოების დროს იკუმშება, ე.ი. აქ ფუძე კუმშვადია (ბეღლეთი).

ამავე სახელწოდების სოფელი გვაქვს აჭარაში, ხულოს რაიონში. იგივე სახელწოდების სოფლები, მხოლოდ –ევ სუფიქსით, არის ზესტაფონის რაიონში (ბოსლევისა და ზედა საქარის საკრებულოები).

ბეღელ ძირიდან, როგორც ვხედავთ, არაერთი ტოპონიმი იღებს სათავეს.

მკვლევარი გ. ბედოშვილი მისგან წარმოებულ სიტყვად მიიჩნევს ისეთ ცნობილი ტოპონიმს, როგორიც ნაბეღლავია გურიაში (ჩოხატაურის რ.), მაგრამ მასში სულ სხვა შინაარს გულისხმობს, ნაბეღლავი ეწოდება იმ პატარა მდინარე-ღელესაც რომელიც სოფელს შუაზე ჩამოუდის, როგორც ვხედავთ,- წერს გ. ბედოშვილი,-სოფელს ეს სახელი მდინარისაგან მიუღია. მაგრამ რას უნდ ნიშნავდეს თვით სახელწოდება „ნაბეღლავი?" ხალხში გავრეცელებული თქმულებით, სოფელს ნაბეღლავი იმიტომ შერქმევია რომ აქ თამარ დედოფალს სამეფო ბეღლები ჰქონია აგებული. თამარის გარდაცვალების შემდეგ, ამ მხარეს თათრები შემოსევია, სამეფო ბეღლები ჯერ გაუძარცვავთ, დაუნგრევიათ, მერე კი იქაურობა ცეცხლისათვის მიუციათ. ამ აოხრების შემდეგ, სოფლისათვის ხალხს ნაბეღლავი შეურქმევიაო.

სპეციალისტების ერთი ნაწილიც თვლის, რომ ნაბეღლავი ბეღელ-სიტყვისაგან გვაქვს მიღებული ნა - ევ თავსართ - ბოლოსართის დართვით.

ამგვარ ვარაუდს,- მიუთითებს გ.ბედოშვილი, – დაბრკოლებაც ახლავს. პირველ რიგში ისაა გასათვალისწინებელი, რომ ტოპონიმისათვის, მართლაც, ამოსავალი იქნებოდა სიტყვა ბეღელი („სასიმინდე, ხორბლის, ხილის, ზოგადად, ჭირნახულის შესანახი მიწისზედა ნაგებობა, სათავსი") ან ზოგადად რაიმე სამეურნეო - საყოფაცხოვრებო დანიშნულების ხელოვნური ნაგებობა (თავლა, სახლი, ნალია, გომური, ფარეხი, საბძელი, მარანი...), მაშინ ტოპონიმი ნა -ევ - ან ნა -არ - აფიქისთ უნდა გაფორმებულიყო და არა ნა -ავ აფიქსით (შდრ. ნა-სახლ-ევ-ი // ნა-სახლ-არ-ი, ნა-ჯარგვალ-ევ-ი, ნა-ქალაქ-ევ-ი // ნა-ქალაქ-არ-ი, ნა-სიმინდ-ევ-ი // ნა-სიმინდ-არ-ი, ნა-გომურ-ევ-ი // ნა-გომურ-ალ-ი, ნა-სა-კირ-ევ-ი // ნა-საკირ-ალ-ი და სხვა. დაუშვებელი ნა-სახლ-ავ-ი, ნა-საკირ-ავ-ი, ნა-გომურ-ავ-ი... მაშასადამე, მოულოდნელი უნდა ყოფილიყო ნა-ბეღლ-ავ - ფორმაც (ნა-ავ სუფიქსი უპირატესად ზმნურ ძირებთან დასტურდება: ნა-ხნ-ავ-ი, ნა-კლ-ავ-ი, ნა-მწ-ავ-ი, ნა-შვ-ავ-ი...). სხვათაშორის, აჭარასა და იმერეთის მიკროტოპონიმიაში გვხდება ბეღელ - სიტვის მიხედვით წარმოქმნილი გეოგრეაფიულ სახელები და ისინი, როგორც მოსალოდნელი იყო ნა-არ, ნა-ევ // ებ აფიქსებით არიან გაფორმებული:

ნაბეღლარ-ი - სოფელს სანახშირის (ზესტაფონის რ.) ერთ-ერთი უბანი.

ნა-ბეღლარა - დაბლობი ადგილის სახელია ს. ფარცხნალში (ხარაგაულის რ.), სახნავია სოფ. ღუდუმექედში (ხარაგაულის რ.)

ნაბეღლებ-ი საძოვარი მამული ს. გაღმა ბოსლევსა (ზესტაფონის რ.) და კვესრებში (ხარაგაულის რ.)...

ყველა ეს ტოპონიმი უკლებლივ იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ, ამ შემთხვევაში, მართლაც, ბეღელი ყოფილა ამოსავალი., ნაბეღლარი ან ნაბეღლები ნიშნავს: „ადგილი, სადაც უწინ სასიმინდე ნალია (ბეღელი) მდგარა". რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმ ნაბეღლავს, იგი აშკარად სხვაგვარი წარმოშობისაა. ვფიქრობთ, ამოსავალი უნდა იყოს დასავლურ დიალექტებში (გურული, აჭარული რაჭული, ლეჩხუმი...) გავრცელებული სიტყვა ბეღელი, რომელიც, ძირითად მნიშვნელობასთან ერთად, გახდილი (გამოხდილი) ყავრის ერთად დადგმულ-დაწყობილ კუბურებსაც ეწოდება: „გახდილი ყავარი თუ ბეღლათ არ დაიდგი, დაიბრიცება". გურულ დიალექტში ბეღელი ნიშნავს ერთ საპალნედ დაწყობილი ყავრის შეკვრას, გროვას. ერთი ბეღელი, როგორც მიუთითებენ, ხუთას ფურცელ ყავარს შეიცავს (პ. ჯაჯანიძე). ზოგიერთის თქმით, ბეღელში 10-12 ურემი ყავარია: „ყავარს გავწმენდთ, დავაწყობთ ჯვარის სახეთ, ბეღლებათ, რომ გასწორდეს ყავარი, ბეღელში ათ ურმიდან თორმეტამდეა". ასე რომ ნაბეღლავი ნიშნავს: „ადგილი, სადაც ყავარს ბეღლავდენენ, საპალნე გროვებად აწყობდნენ, ყავრის ბეღლების დასაწყობი ადგილი". ტოპონიმ ნაბეღლავში ასახულია აქაურ მკვიდრთა შინამრეწველობის ერთ-ერთ გავრცელებული დარგი - ყავრის გამოხდა (დაბეღლვა) და მისი საპალნე გროვებად გამზადება, ანუ ბეღლებად დადგმა. გურია-აჭარის ტერიტორიაზე ცოტა როდია სწორედ ამ ბეღელ სიტყვის მიხედვით წარმოქმნილი მიკროტოპონიმები (ნაბეღლევები, ნაბეღლავარი, ნაბეღლარი, ნაბეღლავები...), რაც კიდევ უფრო გვარწმუნებს ნაბეღლავის ყავრის ბეღლისაგან მომდინარეობის მართებულობა-მიზანშეწონილობას.

მკვლევარ გ. ბედოშვილის მიერ ტოპონიმ ნაბეღლავის ირგვლივ გამოთქული ეს მოსაზრება, ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევი უნდა იყოს ჩვენთვის ტოპონიმ ბეღლეთის შესახებაც.

ბეღლეთში მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

შეხვედრა ჰენრი კუპრაშვილთან

27 თებერვალს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, გაიმართა შეხვედრა ჰენრი კუპრაშვილთან. ჰენრი კუპრაშვილი არის ისტორიკოსი, ჟურნალისტი, პოლიტოლოგი, საქართველოს ცურვის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი, მსოფლიო რეკორდსმენი, ასევე, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ტრიატლში, ზამთრის ცურვის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი , 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და 7 სახელმძღვანელოს ავტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. ბატონმა ჰენრიმ ისაუბრა საკუთარ მიღწევებსა და წარმატებებზე და დაარწმუნა დამსწრე საზოგადოება, რომ ყველა ასაკში შესაძლებელია ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება.

შეხვედრას ესწრებოდა, ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში გიორგი მეხრიშვილი, რომელიც საამაყო ახალგაზრდაა ჩვენთვის.

დასასრულს, შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში გადავიდა, ბატონმა ჰენრიმ ყველა დასმულ შეკითხვას ამომწურავად უპასუხა და სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღო.

პატარა მოჭადრაკეების წარმატება

ამ დღეებში, გორში, გაიმართა შესარჩევი რეგიონული ტურნირი ჭადრაკში, სადაც შიდა ქართლის 8-10 და 12 წლამდე მოზარდები იღებდნენ მონაწილეობას. ტურნირში ხაშურის სასპორტო სკოლის პატარა მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ. მწვრთნელის, **ალექსანდრე ჭადაშვილის** დამოძღვრილმა პატარებმა შესამჩნევ წარმატებას მიაღწიეს და უფრო მასშტაბურ - საქართველოს ჩემპიონატში თამაშის უფლებაც მოიპოვეს. 12 წლამდელებში, **გიორგი ბარბაქაძემ** 7 შესა

ძლებლობიდან 5 ქულა დააგროვა და ვერცხლის მედალი გადაეცა. ასევე წარმატებული იყო 10 წლიანებში **გივი მელიქიძის** გამოსვლა, რომელიც 5 მოპოვებული ქულით (7 შესაძლებლობიდან) მეორეადგილოსანი გახდა. 8 წლიანებში, 35 მონაწილეს შორის, **საბა კაპანაძე** და **ლაზარე ჩიტაძე** მეოთხე ადგილზე გავიდნენ. ერთადერთი მოჭადრაკე გოგონა **ბარბარე ბარბაქაძეც** მეოთხე ადგილის მფლობელი გახდა. ეს პატარები, არცთუ დიდი ხანია, რაც ჭადრაკში მეცადინეობენ, მათთვის ეს ტურნირი პირველი გამოცდა იყო და ამიტომაც ეს შედეგები ნამდვილად წარმატებაა. პირველი ნაბიჯები, როგორც ვნახეთ, იმედის მომცემია და იმედია, შემდეგ ტურნირებში უფრო დიდ გამარჯვებებსაც ვნახავთ.

ამჟამად პატარა მოჭადრაკეები ბათუმის საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადებიან, რომელიც ივნისის დასაწყისში გაიმართება.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ალექსანდრე ჭადაშვილი, გივი მელიქიძე, საბა კაპანაძე, ლაზარე ჩიტაძე, გიორგი ბარბაქაძე, ბარბარე ბარბაქაძე.

მოსწავლეებმა საბჭოთა ოკუპაციის ამსახველი დოკუმენტები დაათვალიერეს

საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის სარდაფში არსებულ ოკუპაციის მუზეუმს სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის დაბა სურამის №2საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეები პედაგოგ ჯაბა ლაბაძესთან ერთად ესტუმრენ.

მოსწავლეები ინტერესით გაეცნენ როგორც საბჭოთა, ისე 2008 წლის ოკუპაციის ამსახველ ისტორიულ დოკუმენტებსა და ფოტომასალას,შემდეგ კი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თემატური გამოფენა დაათვალიერეს.

- იუმორი -

ქართლში გავრცელებული ზედმეტსახელები

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ,ქართლში გავრცელებულ ზედმეტსახელებს, რომელშიც მთელი შინაარსი იკითხება, მართლაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გაზეთის შემდეგ,ეს სახელები სოციალურმა ქსელმა აიტაცა და ათასობით ნახვა დააგროვა. დღეს ამ თემის მეორე ნაწილს ვთავაზობთ მკითხველს.

ხრუშჩოვკა ბესო - ძალიან დაბალია.

ანტარქტიდა ლამარა - სულ გაცივებულია.

მონტე ქრისტო გიორგი - სახლის სხვენში, ბაბუის გადამალული, დიდი რაოდენობის, ძველი ქაღალდის ფული იპოვა, არაფერში გამოადგა.

უთავო მხედარი ბაგრატა - ცხენი იყიდა, პირველივე დაჯდომაზე ბოსელს შეასკდა და 6 ნეკნი გაიტეხა.

დონ კიხოტა ოთარა - წისქვილის დოლაბმა ჩაითრია და ძლივს გადაარჩინეს.

კოლხიდა ლამზირა - 5 ლიტრი წყალი ამოუღეს ფილტვებიდან, კოლხეთის დაბლობივით დააშრეს.

ღმერთთოვიჩი ლავრენტი - სამჯერ მოჰყვა საშინელ ავარიაში და ერთი ნაკაწრიც არასოდეს ჰქონია.

ზემო გოგია, ქვემო გოგია - სოფელში ორი გოგიაა ერთნაირი გვარით, ერთი მაღალია, მეორე - დაბალი.

პანდა ელგუჯა - ახალგაზრდა, მაგრამ, რატომღაც, ნახევარი თავი გაუჭაღარავდა, მეორე ნახევარზე შავი თმა აქვს.

კენტავრა ზაზა - როცა დათვრება, სახლში აღარ მიდის, სოფელში რომელიმე ხეს ნახავს, მიეყუდება და ზეზეულა ძინავს.

ქალწული შოთა - ოთხმოცი წლისაა და უცოლოდ დაბერდა.

ტროცკისტი გუგულა - ბაბუა და ბაბუის ორი ძმა 1937 წელს დახვრიტეს.

ჯვარიმწერია ბონდო - სასწრაფოს მძღოლია და არავის უნდა იმის მანქანა საკუთარ სახლთან იხილოს.

ეკლესია ბადრი - თვითონაც და ორი შვილიც მღვდლები არიან.

მეჭუჭრუტანე ალიოშა - პროქტოლოგია.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.